პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Министерства здравоохранения ГССР и Грузинского Республиканского Совета профсоюзов

ოთხშაბათი, 28 ოქტომბერი, 1953 წ.
№ 85 (684)
ფასი 20 კაპ.

გამოცემის მე-10 წელი

საბჭოთა ჭაბუკებო და ქალიშვილებო! დაეუფლეთ მეცნიერებას, ტექნიკასა და კულტურას! თქვენი თავდადებული შრომით განამტკიცეთ ჩვენი სამშობლოს ძლიერება! იყავით მტკიცე და გაბედულნი ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების დიადი საქმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებანიდან.

# საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებანი

## დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 36-ე წლისთავისათვის

1. გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 36-ე წლისთავს!

2. გაუმარჯოს ყველა ქვეყნის მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობას!

3. ძმური სალამი ყველა ხალხს, რომლებიც იბრძვიან მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, სოციალიზმისათვის!

4. გაუმარჯოს მშვიდობას ხალხთა შორის!

არ არის ისეთი სადავო ან გადაუჭრელი საკითხი, რომლის გადაჭრაც არ შეიძლებოდეს მშვიდობიანი გზით დაინტერესებული ქვეყნების ურთიერთ შეთანხმების საფუძველზე!

5. ყველა ქვეყნის მშრომელებო! განამტკიცეთ ხალხთა ერთიანობა საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, მშვიდობისათვის, აგრესიული ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში, აგრესიული ძალებისა, რომლებიც ცდილობენ გააჩაღონ ახალი მსოფლიო ომი! ამრავლეთ და დარაზმეთ მშვიდობის მომხრეთა რიგები!

6. ძმური სალამი სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელებს, რომლებიც წარმატებით იბრძვიან სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობისა და ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებისათვის, სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის!

გაუმარჯოს და განმტკიცდეს სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისა და საბჭოთა კავშირის ურღვევი მეგობრობა და თანამშრომლობა!

7. ძმური სალამი დიდ ჩინელ ხალხს, რომელიც წარმატებით იბრძვის თავისი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის, ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აღმავლობისათვის, თავისი სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფოს ყოველი ღონისძიებით განმტკიცებისათვის!

გაუმარჯოს და აყვავდეს საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ურღვევი ძმური მეგობრობა და მჭიდრო თანამშრომლობა ჩვენი ქვეყნების ხალხთა საკეთილდღეოდ და მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებისათვის.

8. ძმური სალამი გმირ კორეელ ხალხს, რომელმაც დაიცვა თავისი მშობლიური მიწა-წყალი ინტერვენტებისაგან და რომელიც იბრძვის სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის, მშვიდობისათვის, ეროვნული ერთიანობისათვის!

9. სალამი გერმანიის დემოკრატიულ ძალებს, რომლებიც იბრძვიან მესამე მსოფლიო ომის კერად დასავლეთ გერმანიის გადაქცევის დანაშაულებრივი გეგმების წინააღმდეგ!

გაუმარჯოს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას — ერთიანი, დამოუკიდებელი, მშვიდობისმოყვარე დემოკრატიული გერმანიისათვის ბრძოლის საიმედო ბურჯს!

10. სალამი იაპონელ ხალხს, რომელიც მამაცურად იბრძვის ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, თავისი სამშობლოს მშვიდობიანი და დემოკრატიული განვითარებისათვის, იმპერიალისტების სამხედრო პლაცდარმად იაპონიის გადაქცევის წინააღმდეგ!

11. ძმური სალამი კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხებს, რომლებიც იბრძვიან იმპერიალისტური ჩაგვრის წინააღმდეგ, თავიანთი თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის!

12. გაუმარჯოს ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობას მათს ბრძოლაში ომის თავიდან აცილებისათვის და მთელ მსოფლიოში მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფისათვის!

13. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ხალხებსა და საფრანგეთის და იტალიის ხალხებს შორის მეგობრობას!

14. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკას — მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების ურყევ პოლიტიკას, ახალი ომის მომზადებისა და გაჩაღების წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკას, საერთაშორისო თანამშრომლობისა და ყველა ქვეყანასთან საქმიანი ურთიერთობის განვითარების პოლიტიკას!

15. საბჭოთა მეომრებო! გულმოდგინედ აიმაღლეთ სამხედრო და პოლიტიკური ცოდნა, აუმჯობესეთ თქვენი საბრძოლო ოსტატობა, დაუცხრომლად განამტკიცეთ სოციალისტური სახელმწიფოს თავდაცვითი ძლიერება!

დიდება საბჭოთა შეიარაღებულ ძალებს, რომელნიც დგანან ჩვენი სამშობლოს მშვიდობისა და უშიშროების სადარაჯოზე!

16. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! კიდევ უფრო მჭიდროდ დავირაზმოთ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, დავრაზმოთ ჩვენი ძალები და შემოქმედებითი ენერგია ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების დიადი საქმისათვის!

გაუმარჯოს კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობისა და ხალხის ურღვევ ერთიანობას!

17. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! განამტკიცეთ მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის ურღვევი კავშირი, ჩვენი ქვეყნის ხალხთა ძმური მეგობრობა! დაუცხრომლად განამტკიცეთ დიდი საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფოს ერთიანობა, განამტკიცეთ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძლიერება!

18. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! უზრუნველვყოთ პარტიისა და მთავრობის პოლიტიკის განხორციელება, პოლიტიკისა, რომლის მიზანია მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, მთელი ჩვენი ხალხის ცხოვრების დონის გადაჭრით ამაღლება! მივაღწიოთ სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების მკვეთრ აღმავლობას!

19. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! მიაღწიეთ ახალ-ახალ წარმატებას მეხუთე ხუთწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში! უფრო ფართოდ დანერგეთ წარმოებაში მეცნიერების, ტექნიკისა და მოწინავე გამოცდილების მიღწევები! იბრძოლეთ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის!

20. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! დაუცხრომლად ზარდეთ შრომის ნაყოფიერება! მიაღწიეთ სოციალისტური მეურნეობის ყველა შესაძლებლობისა და რეზერვების სრულად გამოყენებას! აუმჯობესეთ პროდუქციის ხარისხი და შეამცირეთ მისი თვითღირებულება!

21. ქვანახშირის მრეწველობის მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! გაადიდეთ ქვანახშირის ამოღება, უფრო სწრაფად აშენეთ და ჩააყენეთ მწყობრში ახალი შახტები! იბრძოლეთ შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდისათვის, აუმჯობესეთ ტექნიკის გამოყენება, შეამცირეთ ქვანახშირის თვითღირებულება! მეტი ქვანახშირი სახალხო მეურნეობას!

22. ნავთობის მრეწველობის მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! უფრო სწრაფად აითვისეთ ნავთობის ახალი საბადოები და აშენეთ ნავთობგადამამუშავებელი ქარხნები, გააძლიერეთ ნავთობის ჭაბურღილთა ბურღვის ტემპი! გაადიდეთ მაღალი ხარისხის ნავთობისა და ნავთობპროდუქტების წარმოება!

23. ელექტროსადგურებისა და ელექტრომრეწველობის მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! უფრო სწრაფად ჩააყენეთ მწყობრში ახალი ენერგეტიკული სიმძლავრენი! გაადიდეთ ელექტროენერგიის, ელექტროტექნიკური და რადიოტექნიკური მოწყობილობის, აგრეთვე მოსახლეობისათვის კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონლის წარმოება!

24. საბჭოთა მეტალურგებო! აუმჯობესეთ მეტალურგიული და სამთამადნო საწარმოების სიმძლავრეთა გამოყენება, განავითარეთ საწარმოო პროცესების მექანიზაცია და ავტომატიზაცია! მივცეთ ჩვენს ქვეყანას მეტი თუჯი, ფოლადი, ნაგლინი, ფერადი ლითონები!

25. მანქანათმშენებლობის საწარმოთა მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! გაადიდეთ სახალხო მეურნეობის ყველა დარგისათვის ახალი მანქანების, ხელსაწყოებისა და მოწყობილობის წარმოება! იბრძოლეთ მაღალი წარმადობის მანქანებითა და იარაღით სოფლის მეურნეობის აღჭურვისათვის! მეტი ტრაქტორი, მანქანა და სათადარიგო ნაწილები სოფლის მეურნეობისათვის!

26. ქიმიის მრეწველობის მუშაკებო! უფრო სწრაფად გაადიდეთ საწარმოთა სიმძლავრენი! უზრუნველვყოთ მინერალური სასუქების, მაღალხარისხოვანი საღებავებისა და სხვა ქიმიური პროდუქტების წარმოების განუწყვეტელი ზრდა ჩვენი ქვეყნის მზარდ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად!

27. მშენებლო მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! უფრო სწრაფად აშენეთ ახალი საწარმოები, ბინები, სკოლები და საავადმყოფოები! უფრო ფართოდ დანერგეთ მშენებლობის ინდუსტრიული მეთოდები,

(დასასრული მე-2 გვ.)

# საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებანი

## დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 36-ე წლისთავისათვის

(დასასრული)

უკეთ გამოიყენეთ მექანიზმები! შეამცირეთ მშენებლობის ღირებულება და აუმჯობესეთ მისი ხარისხი!

28. საშენ მასალათა მრეწველობის მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! ყოველი ღონისძიებით განავითარეთ საშენი მასალების წარმოება, აუმჯობესეთ მათი ხარისხი.

29. სატყეო და ქაღალდის მრეწველობის მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! გაადიდეთ შრომის ნაყოფიერება, მთლიანად გამოიყენეთ მექანიზმები! ყოველი ღონისძიებით აუმჯობესეთ პროდუქციის ხარისხი, შეამცირეთ მისი თვითღირებულება! მეტი ხე-ტყის მასალა, ქაღალდი და ავეჯი!

30. ფართო მოხმარების საქონლის მწარმოებელი მრეწველობის მუშაკებო! გამოუშვით მეტი კარგი ხარისხისა და ლამაზი ქსოვილი, კარგი ხარისხისა და ლამაზი ტანისამოსი, მაგარი და კოხტა ფეხსაცმელი და მაღალი ხარისხის სხვა საქონელი! უზრუნველვყოთ ფართო მოხმარების საქონლის წარმოების მკვეთრი აღმავლობა!

31. სასურსათო საქონლის მრეწველობის მუშაკებო! ყოველი ღონისძიებით გააფართოვეთ სასურსათო საქონლის წარმოება, დაუცხრომლად აუმჯობესეთ მისი ხარისხი! მეტი ხორცისა და თევზის პროდუქტი, ერბო-კარაქი, შაქარი და სხვა სასურსათო საქონელი ჩვენი ქვეყნის მოსახლეობისათვის!

32. სოფლის მეურნეობის მუშაკებო! იბრძოლეთ სოციალისტური სოფლის მეურნეობის ყველა დარგის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის, რათა უახლოეს 2-3 წელიწადში სრულად დავაკმაყოფილოთ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილება სასურსათო პროდუქტების მხრივ და უზრუნველვყოთ მსუბუქი და კვების მრეწველობა ნედლეულით!

33. კოლმეურნეებო! მიაღწიეთ ჩვენი ქვეყნის ყველა კოლმეურნეობის შემდგომ აღმავლობას და აყვავებას! იბრძოლეთ საზოგადოებრივი მეურნეობის განმტკიცებისა და ყოველმხრივი განვითარებისათვის, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის საერთო და სასაქონლო პროდუქციის გადიდებისათვის! უფრო აქტიურად დანერგეთ საკოლმეურნეო წარმოებაში მეცნიერებისა და მოწინავე გამოცდილების მიღწევები! უზრუნველვყოთ კოლმეურნეობათა შემოსავლის ზრდა და კოლმეურნეგლეხობის კეთილდღეობის გაუმჯობესება!

34. სოფლის მეურნეობის მუშაკებო! ყოველი ღონისძიებით განავითარეთ საზოგადოებრივი მეცხოველეობა, იბრძოლეთ პირუტყვის სულადობის ზრდის მაღალი ტემპისათვის, გადაჭრით აამაღლეთ მისი პროდუქტიულობა! იბრძოლეთ მტკიცე საკვები ბაზის შექმნისათვის, უფრო სწრაფად გაშალეთ მეცხოველეობის სადგომების მშენებლობა!

35. მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებო! იბრძოლეთ ტრაქტორების, კომბაინებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების უკეთ ათვისებისა და მთლიანად გამოყენებისათვის! იბრძოლეთ კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის ყოველი ღონისძიებით გადიდებისათვის, საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობის ზრდისათვის, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქციის გადიდებისათვის!

36. კოლმეურნეებო, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებო! უზრუნველყავით კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოების სწრაფი ზრდა! იბრძოლეთ ამ კულტურების მოსავლიანობის მნიშვნელოვნად გადიდებისათვის, ფართოდ დანერგეთ ბოსტნეულისა და კარტოფილის მოყვანის მექანიზაცია და მოწინავე აგრონომიული მეთოდები!

37. ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის მუშაკებო! გაადიდეთ ფართო მოხმარების საქონლის წარმოება და გააუმჯობესეთ მისი ხარისხი! ყოველი ღონისძიებით გააფართოვეთ მოსახლეობის ყოფაცხოვრებითი მომსახურების საწარმოთა ქსელი!

38. სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის მუშაკებო! ყოველი ღონისძიებით გაშალეთ საბჭოთა ვაჭრობა, გააუმჯობესეთ სასურსათო და სამრეწველო საქონლის ვაჭრობა ქალაქად და სოფლად, გააფართოეთ მაღაზიებისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ქსელი! მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულეთ საქონელბრუნვის გეგმა! კულტურულად მოემსახურეთ საბჭოთა მომხმარებელს!

39. რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკებო! იბრძოლეთ რკინიგზების გამტარუნარიანობის გადიდებისათვის! გააუმჯობესეთ მოძრავი შემადგენლობის გამოყენება და შეამცირეთ ტვირთზიდვის თვითღირებულება! უკეთ მოემსახურეთ მგზავრებს! უზრუნველყავით ტრანსპორტის ზუსტი მუშაობა ზამთრის პირობებში!

40. საზღვაო და სამდინარო ფლოტის მუშაკებო! უფრო სწრაფად გადაზიდეთ ტვირთი სახალხო მეურნეობისათვის! გაადიდეთ ტვირთზი- ვის მოცულობა, დააჩქარეთ გემთა ბრუნვა, აუმჯობესეთ ნავსადგურ- ბის, ნავმისადგომებისა და გემთშემკეთებელი ქარხნების მუშაობა! განუ- რელად შეამცირეთ ტვირთზიდვის თვითღირებულება! სანიმუშოდ მო- ზადეთ 1954 წლის ნავიგაციისათვის!

41. საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების მუშაკებ- უზრუნველყავით სახალხო მეურნეობისათვის ტვირთის და მოსახლეობ- სათვის საქონლის შეუფერხებელი გადაზიდვა, აუმჯობესეთ მგზავრ- გადაყვანა! უკეთ გამოიყენეთ საავტომობილო ტრანსპორტი, უზრუ- ველყავით გზატკეცილების სანიმუშოდ მოვლა-შენახვა!

42. კავშირგაბმულობის მუშაკებო! განავითარეთ და აუმჯობეს- კავშირგაბმულობის საშუალებანი! გააუმჯობესეთ ფოსტის, ტელეგრ- ფის, ტელეფონის, რადიოს მუშაობის ხარისხი! აუმჯობესეთ მოსახლე- ბის მომსახურება!

43. საბჭოთა დაწესებულებების მუშაკებო! დაუცხრომლად გააძლ- ერეთ პასუხისმგებლობა და აამაღლეთ კულტურა სახელმწიფო აპარატ- მუშაობაში! განამტკიცეთ სახელმწიფო დისციპლინა, მტკიცედ დაი- ვით სოციალისტური კანონიერება, გულისხმიერად მოეკიდეთ მშრომე- თა მოთხოვნილებებს.

44. სამეცნიერო დაწესებულებათა და უმაღლესი სკოლის მუშაკებ- წინ წასწიეთ საბჭოთა მეცნიერება! უფრო გაბედულად გაშალეთ მეცნ- რული მუშაობის ნაკლოვანებათა კრიტიკა! გააძლიერეთ მეცნიერებ- როლი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარე- ში, გააფართოეთ და გააუმჯობესეთ სპეციალისტების მომზადება!

45. ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებო! ამაღლეთ თქვე- შემოქმედების იდეური და მხატვრული დონე! შექმენით ჩვენი დიდი ხა- ხის შესაფერი ნაწარმოებნი!

46. სახალხო განათლების მუშაკებო! აუმჯობესეთ სკოლაში სასწა- ლო-აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხი! აღზარდეთ სოციალისტუ- საზოგადოების კულტურული, განათლებული მოქალაქენი, კომუნიზ- აქტიური მშენებელნი!

47. მედიცინის მუშაკებო! გააუმჯობესეთ და განავითარეთ ჯ- მრთელობის დაცვის საქმე, აამაღლეთ სამკურნალო და სანიტარულ დ- წესებულებათა მუშაობის კულტურა! დანერგეთ პრაქტიკაში მედიცი- მეცნიერების მიღწევები!

48. საბჭოთა პროფკავშირებო! უფრო ფართოდ გაშალეთ სოცი- ლისტური შეჯიბრება სახალხო-სამეურნეო გეგმების მთლიანად და დაჭარბებით შესრულებისათვის! გაავრცელეთ წარმოების ნოვატორ- გამოცდილება! დაუცხრომლად იზრუნეთ მუშებისა და მოსამსახურეე- მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის შემდგო- ამაღლებისათვის!

გაუმარჯოს საბჭოთა პროფკავშირებს — კომუნიზმის სკოლას!

49. საბჭოთა ქალებო! იბრძოლეთ ჩვენი დიადი სოციალისტური ს- შობლოს ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აყვავებისათვის!

გაუმარჯოს საბჭოთა ქალებს — კომუნიზმის აქტიურ მშენებლებ-

50. გაუმარჯოს სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინუ- კომუნისტურ კავშირს — კომუნიზმის ახალგაზრდა მშენებელთა მოწ- ნავე რაზმს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის აქტიურ თა- შემწესა და რეზერვს!

51. საბჭოთა ჭაბუკებო და ქალიშვილებო დაეუფლეთ მეცნიერებ- ტექნიკასა და კულტურას! თქვენი თავდადებული შრომით განამტკიც- ჩვენი სამშობლოს ძლიერება! იყავით მტკიცე და გაბედულნი ჩვენს ქ- ყანაში კომუნიზმის აშენების დიადი საქმის გამარჯვებისათვის ბრძ- ლაში!

52. პიონერებო და მოსწავლეებო! ბეჯითად და გულმოდგინედ დ- ეუფლეთ ცოდნას! იბრძოლეთ წარმატებებისათვის სწავლაში, შრომ- და საზოგადოებრივ მუშაობაში!

53. კომუნისტებო და კომკავშირელებო! იყავით მეხუთე ხუთწლი- გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, საბჭოთა ხალ- კეთილდღეობის შემდგომი აღმავლობისათვის, სსრ კავშირში კომუნ- მის აშენებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში!

54. გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების დიდ კ- შირს — ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობისა და დიდების ბურჯს, მთ- მსოფლიოში მშვიდობის ურყევ დასაყრდენს!

55. გაუმარჯოს კომუნიზმის მშენებელ დიდ საბჭოთა ხალხს!

56. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, საბჭო- ხალხის დიად წარმმართველ და ხელმძღვანელ ძალას კომუნიზმის ა- ნებისათვის ბრძოლაში!

57. ლენინ — სტალინის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელ- ძღვანელობით — წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

**საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.**

# მშთ-ს ახალი კომპლექსის პროექტი

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიური მზრუნველობით ჩვენს ქვეყანაში შექმნილია მსოფლიოში ყველაზე უფრო სრულყოფილი სისტემა ფიზიკური აღზრდისა, რომლის მიზანია სოციალისტური ქვეყნის მშრომელთა ყოველმხრივი განვითარება.

ფიზიკური აღზრდის საბჭოთა სისტემაში ყოველმხრივი განვითარება გამოიხატა 1931 წელს ლენინური კომკავშირის ინიციატივით საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსის — მშთ-ს შექმნით. ეს კომპლექსი მრავალი წლის მანძილზე დიდ როლს ასრულებს მასობრივი ფიზკულტურული მოძრაობის განვითარების, ფიზკულტურასა და სპორტში ახალგაზრდობის ფართო მასების ჩაბმაში. არსებობის 22 წლის მანძილზე კომპლექსის ნორმები ჩააბარა 50 მილიონზე მეტმა კაცმა, ამასთან ნორმის ჩამბარებელთა რიცხვი წლითიწლობით სულ უფრო და უფრო იზრდება.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებების შესაბამისად, ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების დონის შემდგომ გაზრდასთან დაკავშირებით, წამოიჭრა საკითხი მშთ კომპლექსის სრულყოფის შესახებ. ამჟამად მოქმედი კომპლექსი ბევრ შემთხვევაში ჩამორჩა სპორტის თანამედროვე დონეს, მან დაჰკარგა კავშირი მოქმედ სპორტულ კლასიფიკაციასთან. სწორედ ამიტომ სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ფიზკულტურისა და სპორტის მთავარმა სამმართველომ შეიმუშავა მშთ კომპლექსის ახალი, სრულყოფილი პროექტი.

ახალი, სრულყოფილი პროექტი, რომელიც საერთო განხილვის საგნად იქცა, შემუშავებულია კომპლექსის სტრუქტურასა და შინაარსში არსებულ ძირითად ნაკლოვანებათა გათვალისწინებით.

უცვლელი რჩება მშთ-ს კომპლექსის იდეური მიმართულება და ძირითადი დებულება, რომელიც მიზნად ისახავს ჯანმრთელ, ფიზიკურად ძლიერ საბჭოთა მოქალაქეების აღზრდას. სრულყოფილი პროექტი საგრძნობლად ამაღლებს კომპლექსის აღმზრდელობითსა და გამნათლებელ მნიშვნელობას, დიდი ყურადღება ექცევა თეორიულ მოთხოვნებს, განსაკუთრებით ჰიგიენის, საექიმო კონტროლის, თვითკონტროლის დარგში.

იმშთ, მშთ I და მშთ II კომპლექსის ახალ პროექტში შეტანილია ნორმატივები — ფიზკულტურა და სპორტი სსრ კავშირში, ჰიგიენური ცოდნა და ჩვევები, დამატებულია აგრეთვე ნორმატივი — დილის ტანვარჯიში (დაჰურვა). იმშთ-ს კომპლექსით ამ ნორმატივის ჩამბარებელმა უნდა ახსნას და პრაქტიკულად შეასრულოს ჰიგიენური ტანვარჯიშის ელემენტთა კომპლექსი, ხოლო მშთ II საფეხურის კომპლექსით ჩამბარებელმა უნდა შეძლოს დილის ტანვარჯიშის დასაბუთება, შედგენა და შესრულება.

ამჟამად მოქმედ კომპლექსში იმშთ-ს საფეხური განსაზღვრულია 14-15 წლიანებისათვის. როგორც ცნობილია, 1947 წლიდან დაკლებულია დაწყებით სკოლებში მისაღებ ბავშვთა წლოვანება. ამიტომ შვიდწლედდამთავრებულები ვერ იღებენ იმშთ-ს ნიშნებს. ამ მდგომარეობის გათვალისწინებით იმშთ-ს ნორმებს ჩააბარებენ 13-14 წლამდე ასაკის ბავშვები. ახალ კომპლექსში ნორმების ჩამბარებელთა ასაკობრივი კატეგორიები შეეფარდება შვიდწლედის, ათწლედის, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებლების მსმენელთა წლოვანებას. ეს საშუალებას მოგვცემს სწავლადამთავრებულებს ერთნაირი მოთხოვნები წავუყენოთ.

შვიდწლედდამთავრებულებმა უნდა ჩააბარონ იმშთ საფეხურის ნორმატივები. ათწლედ და სხვა საშუალო სასწავლებელდამთავრებულები აბარებენ მშთ I, ხოლო უმაღლეს სასწავლებელდამთავრებულები მშთ II საფეხურის ნორმატივებს.

მოქმედი კომპლექსი შეიცავს სავალდებულო ნორმებს და მოთხოვნებს და ამორჩევით ნორმებს, რომლებიც შეტანილია ჯგუფებში. ეს ჯგუფები შექმნილია ცალკეული ფიზიკური ვარჯიშებისა და სპორტის სახეობების მნიშვნელობის მიხედვით (სისწრაფის, მოხერხებულობის, ძალის, ამტანობის გამომუშავება), მაგრამ პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ მიუხედავად ამორჩევითი ნორმების მრავალფეროვნებისა, ჩაბარება ხდება ყველაზე უფრო იოლ სახეობებში. ამის გამო ჩამბარებელთა დიდი ნაწილი არ გადის სისტემატურ მომზადებას ბევრ, ძალზე საჭირო ნორმებში. ეს კი თავისთავად ადაბლებს ყოველმხრივი ფიზიკური მომზადების დონეს. ამორჩევითი ნორმების ერთსადაიმავე ჯგუფებში შეტანილი იყო ფიზიკური ვარჯიშების და სპორტის არატოლფასი სახეობები.

ქალთათვის მშთ I ამორჩევითი ნორმების მეხუთე ჯგუფში შეტანილია ნორმატივი — წონასწორობა (სიარული ძელზე), რომლის შეცვლა შეიძლება თხილამურებით მთიდან 50 მეტრზე დაშვებით, მშთ II ამორჩევითი ნორმების მესამე ჯგუფში შეტანილია ნორმატივი — რიკაობაში (ფიზკულტურულ ორგანიზაციებში ამ სახის შეჯიბრებები ქალთათვის არ ეწყობა), რომლის შეცვლა შეიძლება შუბის და ბადროს ტყორცნით. თავისთავად ცხადია, რომ ისინი სულ სხვადასხვა სიძნელისა და სირთულის ნორმატივებია.

ახალი კომპლექსის პროექტით ყველა სამ საფეხურს აქვს მხოლოდ სავალდებულო ნორმატივი, მაგრამ ზოგიერთი მათგანის შეცვლა შეიძლება მსგავსი ან პრაქტიკულად ამა თუ იმ კლიმატური პირობების შესაბამისი ნორმატივით.

ახალი კომპლექსის უფრო დახვეწილი სტრუქტურა, სანორმატივო მოთხოვნათა უმეტესობის ოდნავი გაზრდა, საშუალებას მოგვცემს უკეთ წარვმართოთ საბჭოთა ადამიანების ყოველმხრივი ფიზიკური განვითარება.

პრაქტიკულ ნორმატივებში შეტანილია შემდეგი ნორმატივები:

### იმშთ

**ტანვარჯიში.** შეტანილია ნორმატივი — დილის ჰიგიენური ტანვარჯიში (დაჰურვა). აუცილებელია ვარჯიშთა კომპლექსის სწორი შესრულება. კომპლექსში შეტანილია აგრეთვე, როგორც სავალდებულო ნორმები, ხუთი აკრობატული ვარჯიში და ვარჯიში წონასწორობაზე (დვირი 150 სანტიმეტრი). სავალდებულო ნორმატივის სახით რჩება ცოცვა 2-3 მეტრზე. ამოღებულია ვარჯიშები იარაღებზე (მეორე ჯგუფი — ამორჩევითი) და დაბრკოლებათა ზოლის გადალახვა.

**მძლეოსნობა.** შემოღებულია, როგორც სავალდებულო ნორმა, ჭაბუკებისათვის რბენა 60 მეტრზე (9 წამი), ან 100 მეტრზე (14,6) და რბენა 60 მეტრზე (9,8) გოგონებისათვის. 1000 მეტრზე რბენა (ჭაბუკები) შეიცვალა რბენით ან კროსით 800 მეტრზე. რჩება რბენა 500 მეტრზე გოგონებისათვის (2:10,0), მაგრამ შეიძლება მისი შეცვლა ამავე დისტანციაზე კროსით (2:10,0). სავალდებულო სახით შეტანილია ხტომის ერთ-ერთი სახეობა: სიმაღლეზე — (ჭაბუკები — 1 მ. 20 სმ; გოგონები — 1 მ. 10 სმ.), ან სიგრძეზე (ჭაბუკები — 3 მ. 80 სმ., გოგონები — 3 მ. 10 სმ). სავალდებულო ნორმებში შედის ტყორცნების ერთ-ერთი სახეობაც.

**თხილამურები.** რჩება სავალდებულო ნორმა — სათხილამურო გადასვლა 3 კმ. (15 წუთი) ჭაბუკებისათვის და ორ კილომეტრზე (20 წუთი) გოგონებისათვის. უთოვლო რაიონებში სათხილამურო გადასვლის შეცვლა შეიძლება ქვეითი და საველოსიპედო ტურისტული გადასვლებით. ამოღებულია თხილამურით ხტომები (მეორე ჯგუფი).

**ცურვა.** შეტანილია, როგორც სავალდებულო ნორმა, ცურვა 50 მეტრზე (ჭაბუკებისათვის 1:20,0) გოგონებისათვის (1:30,0) და 100 მეტრზე დროს გარეშე.

**სპორტული თამაშები.** შეტანილია სავალდებულო ნორმატივის სახით (ერთ-ერთი თამაშის ჩათვლით): ჭაბუკებისათვის ფეხბურთი, ჰოკეი, კალათბურთი, ფრენბურთი, ხელბურთი 7+7, რიკაობა, ლაპტა, თამაშობათა ნაციონალური სახეობები, გოგონებისათვის კალათბურთი, ფრენბურთი, ლაპტა, თამაშობათა ნაციონალური სახეობები. ნორმის შესრულებისათვის აუცილებელია ჭაბუკებისათვის 8 შეხვედრაში მონაწილეობა, გოგონებისათვის ექვსში.

### მშთ I საფეხური

**ტანვარჯიში.** აუცილებელია დილის ჰიგიენური ტანვარჯიშის კომპლექსის სწორი შესრულება. სავალდებულო ნორმის სახით შეტანილია მოზიდვა (ვაჟები 5-8-ჯერ ღერძზე) და ცოცვა სამ მეტრზე (ვაჟები ფეხების დაუხმარებლად. ქალები ფეხების დახმარებით). შეტანილია უმცროსი ასაკის კატეგორიებისათვის, როგორც სავალდებულო ნორმატივი, აკრობატიკა მეორე ამორჩევითი ჯგუფიდან. ამოღებულია იარაღებზე სამჭიდი.

**მძლეოსნობა.** შეტანილია, როგორც სავალდებულო ნორმატივი, რბენა 100 მეტრზე (13,8-15,2), კროსი შეცვლილია რბენით 800 მეტრზე (ვაჟები და ქალები) ან რბენით 1.500 მეტრზე (ვაჟები) ან კროსით 3 კილომეტრზე (ვაჟები). როგორც სავალდებულო ნორმატივი, შეტანილია ხტომებისა და ტყორცნების ერთ-ერთი სახეობა. ამოღებულია გეზრბენი 5-8 კილომეტრზე.

**თხილამურები.** სავალდებულო ნორმატივად რჩება სათხილამურო გადასვლა (ვაჟები — 10 კილომეტრზე, ქალები — 3 კილომეტრზე. ვაჟების დრო 1 საათიდან — 1 საათსა და 20 წუთამდე. ქალების — 21-23 წუთი), ჭაბუკებს, გოგონებს და ქალებს შეუძლიათ ჩააბარონ ნორმა 5 კილომეტრზეც. ამოღებულია სათხილამურო გადასვლები (მესამე ამორჩევითი ჯგუფიდან) და თხილამურებით ხტომები, (მეორე ამორჩევითი ჯგუფიდან).

**ცურვა.** სავალდებულო ნორმატივის სახით რჩება 100 მეტრზე (ვაჟებისათვის 2:20,0-2:30,0; ქალებისათვის 2:30,0-2:40,0) და 200 მეტრზე დროს გარეშე. ამოღებულია ცურვა მესამე ამორჩევითი ჯგუფიდან და ცურვა პირველი ამორჩევითი ჯგუფიდან.

**სპორტული თამაშები.** შეტანილია, როგორც სავალდებულო ნორმატივი, მხოლოდ 15-17 წლიანებისათვის. ყველა დანარჩენი ნორმატივი ამორჩევითი ჯგუფებისათვის ამოღებულია.

### მშთ II საფეხური

**ტანვარჯიში.** რჩება, როგორც სავალდებულო ნორმატივი, ცოცვა ვაჟებისათვის 5 მეტრამდე ფეხების დაუხმარებლად, ქალებისათვის 4 მეტრამდე ფეხების დახმარებით. ცოცვა შეიძლება შეიცვალოს ვაჟებისათვის — მოზიდვით 8-ჯერ, ქალებისათვის — თავისუფალი ვარჯიშით. სავალდებულო ნორმატივის სახით შეტანილია დილის ჰიგიენური ტანვარჯიში — სავალდებულოა მისი მეთოდური დასაბუთება, შედგენა და შესრულება.

**მძლეოსნობა.** სავალდებულო ნორმატივის სახით შეტანილია: ა) რბენა 100 მეტრზე (ვაჟებისათვის 13,4-14,6, ქალებისათვის 15,0-16,0). 100 მეტრზე რბენის შეცვლა შეიძლება 200 მეტრზე რბენით; ბ) რბენა 800 ან 1.500 მეტრზე; გ) რბენა 5.000 მეტრზე (20 წუთი) ან კროსი 5 კილომეტრზე (21 წუთი) — ვაჟებისათვის; დ) ხტომების ერთ-ერთი სახეობა (სიგრძეზე ან სიმაღლეზე) ვაჟებისათვის კი ჭოკით ხტომა; ე) ტყორცნის ერთ-ერთი სახეობა. ამოღებულია კროსი ქალებისათვის ორ კილომეტრზე და კროსი ვაჟებისათვის სამ კილომეტრზე. ამოღებულია აგრეთვე დაბრკოლებათა ზოლის გადალახვა.

**ცურვა.** სავალდებულო ნორმატივის სახით შეტანილია ცურვა 100 მეტრზე (ვაჟებისათვის 1:50,0-2:10,0, ქალებისათვის 2 წუთი — 2,10,0), ან 200 მეტრზე (ვაჟებისათვის 3:40,0-5:05,0); ქალებისათვის 4:30,0-5:15,0), ან 400 მეტრზე დროს გარეშე.

**თხილამურები.** სავალდებულო ნორმატივის სახით შეტანილია სათხილამურო გადასვლა ვაჟებისათვის — 10 კილომეტრზე (55 წუთი) ან 18 კილომეტრზე (1:50:00). ქალებისათვის — ხუთ კილომეტრზე (33 წუთი) ან 8 კილომეტრზე (1 საათი). სათხილამურო გადასვლა უთოვლო რაიონებში შეიძლება შეცვლილ იქნას გეზრბენით. ან ველოგადარბენით, ან მოტო-(ავტო) გადარბენით, ან სპორტის ნაციონალური სახეობით.

**სპორტული თანრიგი.** ნიშნის „ფრიადზე“ მიღებისათვის აუცილებელია მესამე თანრიგის ნორმატივის შესრულება.

შეტანილია სასროლო სპორტი. ყველა დანარჩენი ნორმატივები, რომლებიც მოცემულია ამორჩევით ჯგუფებში — ამოღებულია.

ნორმების „ფრიადზე“ ჩაბარება შემოღებულია მხოლოდ მეორე საფეხურისათვის.

კომპლექსის ახალ პროექტში ასაკობრივი კატეგორიები უფრო მეტადაა დიფერენცირებული. ვაჟებისათვის სამი ასაკობრივი კატეგორიის (პირველი საფეხური — 16-30 წელი, 31-40 წელი, 41 და ზევით; მეორე საფეხური 17-30 წელი, 31-40 წელი, 41 და ზევით) ნაცვლად შეტანილია ხუთი ასაკობრივი კატეგორია — პირველ საფეხურში (15-17 წელი, 18-24 წელი, 25-35 წელი, 36-40 წელი, 41 და ზევით) და ოთხი ასაკობრივი კატეგორია მეორე ჯგუფში (17-25 წელი, 26-35 წელი, 36-40 წელი, 41 და ზევით).

ქალებისათვის ასაკობრივი კატეგორიები უცვლელი დარჩა (გამონაკლისს წარმოადგენს დამატება პირველ საფეხურში. უმცროს ასაკობრივ კატეგორიაში — 15-17 წელი).

ფრჩხილებში ნაჩვენები დროები ეკუთვნის პირველ და უკანასკნელ ასაკობრივ კატეგორიას.

ახალი პროექტის ფართო განხილვა, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიიღოს ჩვენი ქვეყნის ფიზკულტურულმა საზოგადოებრიობამ, შექმნის ახალ, უფრო მეტად სრულყოფილ მშთ კომპლექსს.

## სპორტულ საზოგადოებებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

### «ტრუდი»

მოსკოვში ხუთ დღეს მიმდინარეობდა ცენტრალური საბჭოს პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში, რომელშიც მონაწილეობდა მოსკოვის, ლენინგრადის, საქართველოს, სომხეთის, ბელორუსიის, უკრაინის, აზერბაიჯანისა და სხვა რესპუბლიკებისა და ქალაქების თერთმეტი გუნდი.

საქართველოს სპორტსმენებმა ყველა შეხვედრა მაღალ დონეზე ჩაატარეს, გაუსწრეს მოსკოვის ძლიერ კოლექტივს და გუნდური პირველი ადგილი მოიპოვეს. მეორე ადგილზე არიან მოსკოვის, მესამეზე — ყირიმის მოჭიდავენი.

პირად პირველობაში მსუბუქი წონის მოჭიდავეებს შორის გ. თოფჩიშვილმა და საშუალო წონაში გ. ლასურაშვილმა ცენტრალური საბჭოს ჩემპიონის წოდება მოიპოვეს. მჩატე წონის მოჭიდავეთა შორის რ. ფითფანოვმა, მძიმე წონაში კი — მ. მამისაშვილმა მესამე საპრიზო ადგილები დაიკავეს.

### «ისკრა»

ბაქოში ჩატარდა ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდური პირველობის გათამაშება ფარიკაობაში. მონაწილეობდა მოსკოვის, ლენინგრადის, აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთისა და ა. შ. მოფარიკავენი. ჩვენი რესპუბლიკის მოფარიკავეებმა შეჯიბრებაში გუნდური მეორე ადგილი მოიპოვეს. პირველ ადგილზე არიან აზერბაიჯანის სპორტსმენები. ქალთა შორის რაპირაში მ. შეყრილაძეს პირველი ადგილი მიეკუთვნა.

* * *

სარატოვში დამთავრდა პირველობის გათამაშება კლასიკურ ჭიდაობაში. ჩვენი რესპუბლიკის გუნდი ამ შეჯიბრებაში მესამე ადგილზე გამოვიდა. მსოფლიო ჩემპიონმა კლასიკურ ჭიდაობაში გ. კარტოზიამ თავის წონით კატეგორიაში პირველი ადგილი მოიპოვა, წონითი კატეგორიებში მეორე და მესამე ადგილებზე გამოვიდნენ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები მაისურაძე, ცინცაძე და ბერიზაშვილი.

### «ლოკომოტივი»

სამტრედიაში ჩატარდა ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის განყოფილების 1953 წლის პირველობა ფრენბურთში. მონაწილეობდნენ სამტრედიის, ბათუმის, ფოთის, ცხაკაიას, ქუთაისისა და ზესტაფონის რკინიგზის კვანძის ვაჟთა გუნდები. გაიმარჯვა სამტრედიის კვანძის გუნდმა, მეორე ადგილზე გამოვიდა ცხაკაიას, მესამეზე — ზესტაფონის გუნდები.

## საკავშირო რეკორდი



თბილისის ფიზკულტურის ძირეული კოლექტივების მძლეოსანთა გუნდურ პირველობაზე შესანიშნავი წარმატება ხვდა წილად რკინიგზის პირველი სკოლის მოსწავლეს ლ. ანთაძეს. მან 100 მეტრი გაირბინა 10,9. ეს შედეგი 15-16 წლის ჭაბუკთა ახალი საკავშირო რეკორდია. ძველი რეკორდი, რომელიც ეკუთვნოდა მასვე, უდრიდა 11,1.

სურათზე: ლ ანთაძე.

## დაიხურა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი

24 ოქტომბერს, ციურიხში საზეიმო ვითარებაში დაიხურა მსოფლიოს ჩემპიონ მ. ბოტვინიკთან მატჩის პრეტენდენტთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი.

შვეიცარიის საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდენტისა და ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის სიტყვების შემდეგ შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯმა ოპოჩენსკიმ (ჩეხოსლოვაკია) გამოაცხადა ტურნირის ოფიციალური შედეგები.

ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ დამსწრენი მთავარი მსაჯის ცნობას იმის შესახებ, რომ შეჯიბრებაში გამარჯვებულია საბჭოთა გროსმაისტერი ვასილ სმისლოვი, რომელმაც მსოფლიოს უძლიერეს გროსმაისტერებთან დაძაბულ ბრძოლაში მოიპოვა 9 გამარჯვება, 18 პარტია ყაიმით დაამთავრა და წააგო მხოლოდ ერთი პარტია.

საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდენტის ბ-ნ როგარდის, მთავარი მსაჯის ოპოჩენსკისა და შვეიცარიის საჭადრაკო ფედერაციის სახელით საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ბ-მა ბერმანმა (საფრანგეთი) დაფნის გვირგვინით შეამკო ტურნირში გამარჯვებული ვ. სმისლოვი. ვ. სმისლოვს გადაეცა პირველი პრიზი.

შემდეგ სცენაზე ადიან საბჭოთა გროსმაისტერები ბრონშტეინი და კერესი და ამერიკელი გროსმაისტერი რეშევსკი, რომლებმაც გაინაწილეს მეორე, მესამე და მეოთხე პრიზები.

გულთბილად შეხვდნენ შეჯიბრების მეხუთე პრიზიორს, ტურნირის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილეს საბჭოთა გროსმაისტერ პეტროსიანს.

შემდეგ ერთიმეორეზე მიიღეს პრიზები ტურნირის დანარჩენმა მონაწილეებმა. მეექვსე და მეშვიდე პრიზი გადაეცათ გელერს (სსრ კავშირი) და ნაიდორფს (არგენტინა), მერვე და მეცხრე — კოტოვს (სსრ კავშირი) და ტაიმანოვს (სსრ კავშირი), მეათე და მეთერთმეტე — ავერბახს (სსრ კავშირი) და ბოლესლავსკის (სსრ კავშირი), მეთორმეტე — საბოს (უნგრეთი), მეცამეტე — გლიგორიჩს (იუგოსლავია,) მეთოთხმეტე — ეივეს (ჰოლანდია) და მეთხუთმეტე — შტალბერგს (შვეცია).

ტურნირის საუკეთესო პარტიებისათვის სპეციალური პრიზები მიიღეს საბჭოთა გროსმაისტერებმა კოტოვმა, ტაიმანოვმა და არგენტინელმა გროსმაისტერმა ნაიდორფმა.

საბჭოთა მოჭადრაკეების სახელით გამოვიდა საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელი დ. პოსტნიკოვი. მან მადლობა გადაუხადა შვეიცარიის საჭადრაკო ფედერაციას, საორგანიზაციო კომიტეტსა და ყველა პირს, რომელიც მონაწილეობას იღებდა ტურნირის მოწყობაში, შეჯიბრების კარგი ორგანიზაციისა და გულთბილი მიღებისათვის, რაც საბჭოთა მოჭადრაკეებს გაუმართეს.

## ფეხბურთი

### საერთაშორისო შეხვედრები

#### „ზენიტი“ (ლენინგრადი) — ფინეთი (ნაკრები)

25 ოქტომბერს ფინეთის ფეხბურთელთა ნაკრებმა გუნდმა ჩაატარა მეორე ამხანაგური შეხვედრა საბჭოთა კავშირში. ფინელები ლენინგრადში შეხვდნენ ადგილობრივ „ზენიტს“.

მატჩი დამთავრდა ლენინგრადის ფეხბურთელთა გამარჯვებით, ანგარიშით 3 : 1.

---

#### დოჟას სახელობის კლუბი (უნგრეთი) — „დინამო“ (მოსკოვი)

26 ოქტომბერს მოსკოვის „დინამოს“ ცენტრალური სტადიონის ტრიბუნები კვლავ აივსო ფეხბურთის მოყვარულებით. ინტერესი დოჟას სახელობის კლუბისა და მოსკოვის „დინამოს“ ფეხბურთელთა შეხვედრისადმი მეტად დიდი იყო.

თამაშის პირველი ნახევარი ჩატარდა განუწყვეტელ ორმხრივ იერიშებში. უნგრელთა მაღალტექნიკურ, ზუსტ თამაშს მოსკოველებმა დაუპირისპირეს სწრაფი, ტემპიანი თამაში. მიუხედავად ორივე გუნდის თავდამსხმელთა მრავალი ცდისა პირველ ტაიმში ანგარიში არ გახსნილა.

მეორე ტაიმი უნგრელებმა ენერგიული იერიშებით დაიწყეს და მალე ანგარიშიც გახსნეს. მე-9 წუთზე ბურთი გაიტანა ტოტმა. 37-ე წუთზე ილინმა ანგარიში გაათანაბრა. შეხვედრა დამთავრდა ფრედ 1:1.

---

### საქართველოს პირველობა

გასულ კვირას გაიმართა საქართველოს პირველობის მეხუთე ტურის შეხვედრები. თბილისში ერთმანეთს შეხვდნენ 26 კომისრის სახელობის რაიონის გუნდი და თელავის „დინამო“. ამ თამაშში თბილისელები მოედანზე შეცვლილი შემადგენლობით გამოვიდნენ — გუნდში თამაშობდნენ ახალგაზრდები. ამან დადებითი შედეგი გამოიღო. თბილისელებმა შეხვედრა ჩაატარეს კარგად. პირველ ნახევარში ანგარიში არ გახსნილა. მეორე ტაიმში დინამოელთა კარში გატანილ იქნა 3 ბურთი.

წითელწყაროს „ნეფტიანიკმა“ თავის მოედანზე მიიღო ბორჯომის ნაკრები. თამაშის პირველი ნახევარი აქაც უშედეგოდ დამთავრდა. მეორე ნახევარში „ნეფტიანიკმა“ გაიტანა ბურთი, რომელმაც მას გამარჯვება მოუტანა.

„ბ“ ქვეჯგუფში წარმატებას მიაღწია „კოლმეურნემ“ (მახარაძე), რომელიც თავის მოედანზე შეხვდა სოხუმის „დინამოს“. „კოლმეურნემ“ მონდომებით ჩაატარა თამაში და ძლიერი მოწინააღმდეგე დაამარცხა ანგარიშით 2 : 0.

სტალინირის „სპარტაკს“ მორიგი შეხვედრა ჰქონდა ხაშურში ადგილობრივ „ლოკომოტივთან“. გუნდები შესვენებაზე წავიდნენ ანგარიშით 1:0. შესვენების შემდეგ რკინიგზელებმა შეძლეს გადამწყვეტი ბურთის გატანა და შეხვედრა მოიგეს ანგარიშით 2 : 1.

თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის გუნდი მესამე თამაშზე გამოუცხადებლობის გამო მოხსნილია ვათამაშებიდან. იმ გუნდებს, რომლებიც ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის გუნდს არ შეხვედრიან ჩაეთვლებათ გამარჯვება.

---

### ქალაქის ჩემპიონი

დამთავრდა შეჯიბრება ფეხბურთში ქუთაისის პირველობაზე.

ფინალურ შეჯიბრებაში გაიმარჯვა და ქუთაისის 1953 წლის ჩემპიონის სახელი მოიპოვა „სპარტაკის“ გუნდმა.

**ივ. ბუხაიძე**

## ფალავნები სარბიელზე

### საქართველოს გუნდური პირველობა ქართულ ჭიდაობაში





ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზში მრავალრიცხოვანი მაყურებლის თანდასწრებით გაიმართა საქართველოს სსრ გუნდური პირველობის გათამაშება ქართულ ჭიდაობაში. ასპარეზობას წინ უსწრებდა ზონალური შეჯიბრებები. რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების უძლიერეს მოჭიდავეთა კოლექტივები დაყოფილი იყვნენ ექვს ზონად. ზონალურ შეჯიბრებაში გამარჯვებულმა გუნდებმა მონაწილეობა მიიღეს ფინალში.

რესპუბლიკის ჩემპიონის წოდებისათვის ბრძოლაში გამოდიოდნენ: თბილისის მოჭიდავეთა პირველი და მეორე ნაკრები კოლექტივები, გორის, კასპის, მცხეთის, ახმეტის, გურჯაანის, ქუთაისის წარმომადგენლები, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის გუნდები. სულ 74 მოჭიდავე.

ასპარეზობის პირველ დღეს თბილისის მოჭიდავეთა მეორე გუნდმა დაამარცხა კასპის კოლექტივი, აფხაზეთის მოჭიდავეებმა მოუგეს ქუთაისის წარმომადგენლებს. საინტერესო ბრძოლით აღინიშნა თბილისის პირველი გუნდისა და გურჯაანის მოჭიდავეთა შეხვედრა. გამარჯვება თბილისის მოჭიდავეთა კოლექტივმა. მცხეთის გუნდმა დაამარცხა სამხრეთ-ოსეთის სპორტსმენები.

პირველი დღის შეხვედრებიდან აღსანიშნავია აგრეთვე თბილისის მეორე გუნდის გამარჯვება გორზე, თბილისის პირველი გუნდის გამარჯვება ახმეტაზე, კასპისა — აფხაზეთზე და გურჯაანისა — ოსეთზე.

შეჯიბრების მეორე დღეს თბილისელ მოჭიდავეთა პირველი ნაკრების წარმომადგენლებმა ადვილად დაამარცხეს სამხრეთ ოსეთის სპორტსმენები, თბილისის მოჭიდავეთა (II გუნდის) გამარჯვებით აღინიშნა აგრეთვე მათი შეხვედრა აფხაზეთის სპორტსმენთა კოლექტივთან. დაძაბული ბრძოლით აღინიშნა ახმეტისა და მცხეთის მოჭიდავეთა შეხვედრები. გამარჯვება წილად ხვდა მცხეთის მოჭიდავეთა კარგად მომზადებულ კოლექტივს.

საგულისხმო იყო გორისა და კასპის გუნდების შეხვედრა. შეჯიბრებაზე მოჭიდავეთა ყოველი კოლექტივი რვა სპორტსმენით იყო წარმოდგენილი (ე. ი. თითო მოჭიდავე ყოველ წონით კატეგორიაში) გორის გუნდს არ ჰყავდა საშუალო და მძიმე წონის მოჭიდავეები. კასპის გუნდთან შეხვედრის დამთავრებისათვის, ჩატარებულ წყვილთა მიხედვით ანგარიში იყო საყაიმო, უპირატესობა ვერც ერთ გუნდს ვერ მიეკუთვნა. მაგრამ, ვინაიდან გორის გუნდმა ორ წონით კატეგორიაში არ გამოიყვანა მოჭიდავეები, ამისათვის მას დაეწერა საჯარიმო ქულები. გამარჯვება კასპის სპორტსმენთა კოლექტივს მიეკუთვნა. სამართლიანი საყვედურის ღირსია გორის ჯანმრთელობის საქალაქო განყოფილების ხელმძღვანელობა, რომლებმაც ვერ შეძლეს რესპუბლიკურ პირველობაზე სრული გუნდის გამოგზავნა.

გორი ყოველთვის ნაქები იყო მოჭიდავეებით. სადღა არიან ისინი? რატომ ვერ შეძლეს იქ გუნდის დაკომპლექტება. რასაკვირველია, აქ საქმე გვაქვს ქართული ხალხური სპორტის — ქართული ჭიდაობისადმი გულგრილ დამოკიდებულებასთან.

★

**რესპუბლიკის უძლიერეს მოჭიდავეთა ასპარეზობას ესწრება საპატიო სტუმარი, ცნობილი ქართველი გოლიათი სანდრო კანდელაკი.**

**ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: ჭიდაობისაგან თავისუფალ დროს კანდელაკი ახალგაზრდებს ასწავლის ფანდებს. თ. ელერდაშვილისა (თბილისი) და გ. ყაჭიურის (გურჯაანი) შეხვედრის მომენტი.**

### სპორტი ეკრანზე

თბილისის ლენინის ორდენოსანი კინოსტუდიის „ქართული ფილმის“ ქრონიკის სექტორმა გადაიღო და ეკრანზე გამოუშვა კინოჟურნალ „საბჭოთა საქართველოს“ ახალი, 29-ე ნომერი, რომელიც ასახავს რესპუბლიკის სპორტულ ცხოვრებას.

კინოჟურნალის პირველი სიუჟეტი მიძღვნილია ქართველ და ინდოელ ფეხბურთელთა ამხანაგური შეჯიბრებისადმი. აქ კარგად არის ნაჩვენები ამ ასპარეზობის, როგორც საზეიმო, ისე სპორტული მომენტები. კარგი იქნებოდა ფეხბურთში შეჯიბრების მსვლელობას სადიქტორო ტექსტი რეპორტაჟის ხასიათით გაჰყოლოდა. ტემპიან, ცოცხალ კადრებს აღუნებს ძუნწად შედგენილი სადიქტორო ტექსტი.

„საინტერესო შეჯიბრება“ — ასე ეწოდება ბათუმში ჩატარებულ რესპუბლიკურ შეჯიბრებას იალქნიანი ნავებით (ოპერატორები გ. ასათიანი და შ. შიოშვილი), რომელიც ამავე კინოჟურნალშია შეტანილი.

ოპერატორ გ. ასათიანის მიერ კარგადაა შესრულებული ჟურნალის მონტაჟი.

**ა. ბებია**

---

### ველომანქანებით

სტალინირის ჯანმრთელობის დაცვის საქალაქო განყოფილების ფიზკულტურის სექტორმა ჩაატარა ველოსიპედისტთა შეჯიბრება პირად პირველობაზე.

შეჯიბრებაში წარმატებას მიაღწია ვაჟთა 1-ლი საშუალო სკოლის მოსწავლემ რ. ხეთაგუროვმა. მან 25 კმ. მანძილი 43 წუთსა და 59,8 წამში დაფარა. 20 კილომეტრზე რბოლაში პირველი ადგილი დაიკავა ხ. ფარასტაევმა (მეორე სკოლის მოსწავლე).

**ვ. კასრაძე**

## ახალი ტექნიკაში

### სარბენი ბილიკი

სტარტზე [illegible] ხმა. სპორტსმენები ტყვიასავით მოწყდნენ სტარტს [illegible]. მაგრამ საკვირველია — რატომ არ არიან ფინიშთან წამმზომებით აღჭურვილი მსაჯები?

თურმე მორბენალის დროს აღნიშნავს ხელსაწყო, რომელსაც ავტოქრონომეტრი ეწოდება. მისი კონსტრუქცია ეკუთვნის სპორტინვენტართა ცენტრალური ლაბორატორიის მუშაკებს. ხელსაწყოში არის ჩასაწერი აპარატი, ელექტროწამზომი. ხელსაწყო მავთულით შეერთებულია სასტარტო რევოლვერთან. გასროლისათანავე ელექტრო ჯაჭვი ჩაირთვება და მაშინვე იწყებს მუშაობას ჩამწერი აპარატი და წამზომი.

### ძრავიანი ველოსიპედი

ხარკოვის ველოქარხანამ გამოუშვა ახალი ტიპის ველოსიპედი „ტურისტი“, რომელსაც აქვს სამი სიჩქარე. მთიან ადგილებში ველოსიპედისტს ხელსაწყოს საშუალებით მანქანა ერთი სიჩქარიდან მეორეზე გადაყავს. „ტურისტიზე“ ამჟამად იდგმება განვლილი მანძილის საანგარიშო, რომელიც საშუალებას მისცემს სპორტსმენს გაიგოს, თუ რამდენი კილომეტრი გაიარა. ველოსიპედს აქვს პატარა ძრავა, რომლის დახმარებით მანქანა საათში 20 კილომეტრს გადის. თუ გზაში საწვავი გათავდება სპორტსმენს შეუძლია გზა განაგრძოს, როგორც ჩვეულებრივი ველოსიპედით. ძრავას სიმძლავრე უდრის 1,5 ცხენის ძალას, გზატკეცილის 100 კილომეტრზე იგი ხარჯავს 2,15 კილოგრამს, დანარჩენ შემთხვევებში 2,6 კილოგრამ ბენზინს.

---

### ჭიდაობაში საერთაშორისო ფედერაციის ბიუროს წევრთა ჩამოსვლის გამო

მოსკოვში მუშაობა დაამთავრა ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის აღმასკომის ბიურომ.

საზღვარგარეთელი სტუმრები — ბიუროს წევრები დიდი ინტერესით ათვალიერებენ დედაქალაქის ღირსშესანიშნაობებს, ისტორიულ ძეგლებს, საწარმოო ობიექტებს, კულტურულ და სპორტულ დაწესებულებებს. ბიუროს წევრებმა დაათვალიერეს კრემლი, მოსკოვის უნივერსიტეტის ახალი შენობა, იმგზავრეს მეტროთი, დაესწრნენ კონცერტს ჩაიკოვსკის საკონცერტო დარბაზში, დიდ თეატრში მოისმინეს ოპერა „ევგენი ონეგინი“.

სტუმრებს გულთბილად შეხვდნენ „ზენიტის“ პირველობის მონაწილენი ჭიდაობაში და მაყურებლები. ფედერაციის პრეზიდენტს ბ-ნ როჟე კულოს აქ გადასცეს სახელობითი თასი.

ბიუროს განზრახული აქვს თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიო პირველობა ჩაატაროს 1954 წელს ქ. ტოკიოში.

## ტელეხედვა თუ ბეისბოლი

მიმდინარე წლის გაზაფხულზე ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის სპეციალურმა კომისიამ შეიმუშავა კანონი, რომლითაც უფლება ეძლევათ ბეისბოლის კლუბების მფლობელებს თავიანთი შეხედულებისამებრ ნება დართონ ბეისბოლის შეჯიბრებები გადასცენ ტელეხედვით ან მოაწყონ მათი რეპორტაჟი (რადიოტრანსლირება).

ამერიკის კონგრესის ამ გადაწყვეტილებას წინ უძღოდა ტელეხედვის, რადიოგადაცემათა კორპორაციებისა და ბეისბოლის კლუბების ხელმძღვანელთა გაუთავებელი ბრძოლა. პირველნი ცდილობდნენ ხელში ჩაეგდოთ შემოსავლის ერთერთი წყარო — ბეისბოლის გუნდების რეპორტაჟი, მეორენი — ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რათა შეენარჩუნებინათ მაყურებელი სტადიონზე. მათ აშინებდათ ის, რომ ტელეხედვის საშუალებით სტადიონებს ჩამოშორდებოდა მაყურებელთა მასა და, რასაკვირველია, ეს უარყოფითად იმოქმედებდა მათს შემოსავალზე. ბეისბოლის შეჯიბრებების ტელეხედვით გადაცემის მოწინააღმდეგეებს მოჰყავთ მთელი რიგი მჭევრმეტყველური სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც ნათელ სურათს იძლევიან, თუ როგორ თანდათან მცირდება მაყურებელთა რიცხვი სტადიონებზე.

ამერიკის ბეისბოლის ერთ-ერთი კლუბის „პიტსბურგელი მეკობრეების“ ვიცე-პრეზიდენტი ბრინგ როკი აღნიშნავდა, რომ შეჯიბრებებზე დამსწრეთა რიცხვი 15 მილიონი კაცით შემცირდაო და ამაში დამნაშავედ თვლიდა რადიოსა და ტელეხედვას. იგივე როკი უწინაც წინასწარმეტყველებდა: „მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ თუ რადიორეპორტაჟისა და ტელეხედვის წინააღმდეგ გადამჭრელ ზომებს არ მივიღებთ, დავიღუპებით“.

მიმდინარე წლის გაზაფხულზე გაზეთმა „ნიუ-იორკ ტაიმსმა“ გამოაქვეყნა ცნობა ამერიკის სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონებში ბეისბოლის მრავალი კლუბის ლიკვიდაციის შესახებ. ივნისში ერთ-ერთი ჟურნალი სწერდა, რომ არსებობა შეწყვიტა ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარის ბეისბოლის თითქმის ყველა კლუბმა. „რაღა დაგვრჩენია ჩვენ, — სწერდა ჟურნალი, — მხოლოდ ერთი რამ: იერიში მივიტანოთ რადიოსა და ტელეხედვაზე. მხოლოდ ისინი არიან დამნაშავენი ჩვენს გაკოტრებაში“.

სპორტის ბიზნესმენები იმედოვნებდნენ, რომ ნაწილი მაყურებლისა, რომელიც მოხვდა რადიოკორპორაციის სფეროში, მალე დაუბრუნდებოდა სტადიონებს, მაგრამ ეს იმედიც გაცრუვდა. როკი თავის წერილში გვერდს უვლის ნამდვილ მიზეზს, თუ რატომ ამბობს უარს სპორტის დაინტერესებული ამერიკელი მშრომელები დაესწრონ შეჯიბრებებს. მიზეზი კი ადვილი მისაგნებია: ბეისბოლის შეჯიბრებებზე ბილეთები იმდენად ძვირია, რომ მშრომელებს მისი შეძენის საშუალება არა აქვთ.

„— თუ გსურთ გვნახოთ ჩვენ, გადაიხადეთ ფული, აიღეთ ბილეთი!“ ასეთი იყო ამერიკელ ბეისბოლისტთა დევიზი. მაგრამ იგი მოძველდა. ახლა ბეისბოლისტები ეძებენ ახალს, უფრო შესაფერ დევიზს.

ბეისბოლის კლუბების მფლობელები ამერიკული კინოთეატრების გზას დაადგნენ. „იმისათვის, რომ ვიარსებოთ, — აცხადებს როკი, — ჩვენ უნდა გავყიდოთ ჩვენი შეჯიბრებები ისევე, როგორც ამას ჩადიან თეატრები, ოპერეტები, ოპერები. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ არ დავუშვებთ სტადიონებიდან ტელეხედვისა და რადიორეპორტაჟის გადაცემას“.

აი, ასეთი გაავთრებული ბრძოლის დროს უკანასკნელი „სიტყვა“ თქვა კონგრესმა. შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელმაც საქმე ბეისბოლის კლუბების სასარგებლოდ გადაწყვიტა. როგორც ამბობენ, კომისიის წევრებმა ბეისბოლის კლუბების მფლობელებისაგან მრავალი საჩუქარი მიიღესო.

ახლა ხმა აღიმაღლეს ტელეხედვისა და რადიოკორპორაციების მფლობელებმა. „ჩვენც გაკოტრება მოგველის! — გაჰკივიან ისინი, — არ დავთმობთ ჩვენს პოზიციებს!“

აი, ასეთი გაუთავებელი ბრძოლა არის ამ ორ ორგანიზაციას შორის და ეს მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ჯიბე გაისქელონ. მათ სრულიადაც არ აინტერესებთ მოსახლეობის კულტურული მომსახურება, მათ კეთილდღეობაზე ზრუნვა.

**რედაქტორი ი. უგულავა**



გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის: თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორისა — 8-89-62, პ/მ მდივნისა და განყოფილებების — 8-90-34, მორიგისა და გამომშვების — 8-38-25.

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“ თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 11169